ATATURK AND LATIFA USHAKLIGILI

ათათურქი და ლატიფე უშაკლიგილი

Emzar Makaradze

Professor,
Batumi Shota Rustaveli State University.
Georgia, Batumi, 6010. Ninoshvili st. 32/35.
+995577179745. emzar.makaradze@bsu.edu.ge
ORCID identifieris0000-0002-8499-9258

Abstract

Much information about the life, work and family of the first president of the Turkish Republic Mustafa Kemal Ataturk (1881-1938) is still classified.

At the beginning of the 20th century, the reformer Mustafa Kemal Ataturk wanted every Turkish woman in republican Turkey to be like his wife, the lawyer Latifa Ushakligil, in whom he saw the symbol of a Turkish woman - an ideal, exemplary, emancipated, educated woman who had equal rights with a man.

Latifa received a brilliant European education and perfectly mastered all the manners necessary for a woman. She was distinguished by a flexible mind and far-sightedness. In a word, she was a real European woman. Maybe these facts can explain why Mustafa Kemal chose to marry Latifa. Indeed, we cannot call other manifestations of her character and behavior attractive, because Latifa was an unrestrained and hysterical woman.

On January 29, 1923, Mustafa Kemal and Latifa Ushakligil got married. Their wedding was secular, so Latifa did not wear a Muslim headscarf and looked modern.

Mustafa Kemal and Latifa divorced on August 5, 1925. They had no children, but they adopted several children, whose upbringing Mustafa Kemal paid considerable attention to. One of them received a higher medical education, the other chose history, and one daughter became the first female pilot in Turkey.

Mustafa Kemal died on November 10, 1938 from cirrhosis of the liver caused by chronic alcoholism.

After separating from her husband, Latifa never remarried and spent her life alone in Izmir and Istanbul. She died in Istanbul in 1975 and kept the family history of her relationship with her ex-husband secret until her death.

Key words: Mustafa Kemal; Latifa; Turkey;

ემზარ მაკარაძე
პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
6010, საქართველო, +995 577 179 745,
emzar.makaradze@bsu.edu.ge
ORCID identifieris0000-0002-8499-9258

აბსტრაქტი

თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის, (1881-1938) ცხოვრების, მოღვაწეობისა და ოჯახის შესახებ ბევრი ინფორმაცია დღესაც გასაიდუმლოებულია.

XX საუკუნის დასაწყისში, რეფორმატორ მუსტაფა ქემალ ათათურქს სურდა, რომ რესპუბლიკურ თურქეთში, ტრადიციების მატარებელ ოჯახში, თურქი ქალი მისი ცოლის - იურისტ ლატიფე უშაკლიგილის, მსგავსი ყოფილიყო, რომელშიც ის თურქი ქალის სიმბოლოს ხედავდა - იდეალს, ნიმუშს, ემანსიპირებულს, განათლებულსა და მამაკაცის უფლებებთან გათანასწორებულს.

ლატიფეს ბრწყინვალე ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული და სრულყოფილად ფლობდა ქალისთვის საჭირო ყველა მანერას. გამოირჩეოდა სხარტი გონებითა და შორსმჭვრეტელობით. ერთი სიტყვით, იგი ნამდვილ ევროპელ ქალს წარმოადგენდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ გადაწყვიტა მუსტაფა ქემალმა ლატიფეს ცოლად მოყვანა. მართლაცდა, მისი ხასიათის და ქცევის სხვა გამოვლინებებს მიმზიდველს ვერ ვუწოდებთ, რადგან ლატიფე იყო თავშეუკავებელი, შარიანი და ისტერიკული ქალბატონი.

მუსტაფა ქემალმა და ლატიფემ მხოლოდ ორი წელი იცხოვრეს ერთად, თუმცა ეს დროც საკმარისი გახდა იმის გასაცნობიერებლად, რომ გენერალი მომავალში აღარ დაქორწინებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ მუსტაფა ქემალს და ლატიფეს არც ჰყვარებიათ ერთმანეთი. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ დაშორების შემდეგ იგი ახლო მეგობრებს ხშირად უამბობდა ყოფილი ცოლის შესახებ, თუ როგორ აბეზრებდა თავს შენიშვნებითა და რჩევებით.

1923 წლის 29 იანვარს მუსტაფა ქემალმა და ლატიფე უშაკლიგილმა იქორწინეს. მათი ქორწილი საერო ხასიათის იყო, ამიტომ ლატიფეს მუსლიმური თავსაბურავი არ ეხურა და თანამედროვედ გამოიყურებოდა.

მუსტაფა ქემალი და ლატიფე 1925 წლის 5 აგვისტოს განქორწინდნენ. მათ შვილები არ ჰყოლიათ, მაგრამ რამდენიმე ბავშვი იშვილეს, რომელთა აღზრდას მუსტაფა ქემალი საკმაო ყურადღებას უთმობდა.

მუსტაფა ქემალი 1938 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა ღვიძლის ციროზით, რომელიც, როგორც დადგინდა, ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო გამოწვეული.

ლატიფე ქმართან დაშორების შემდეგ აღარ გათხოვილა და თავისი სიცოცხლე იზმირსა და სტამბოლში განმარტოებულად გაატარა. იგი 1975 წელს სტამბოლში გარდაიცვალა, რომელმაც სიკვდილის ბოლომდე საიდუმლოდ შეინახა ყოფილ ქმართან გატარებული ურთიერთობის საოჯახო ისტორია.

საკვანძო სიტყვები: ათათურქი; ლატიფე; თურქეთი.

შესავალი

ათათურქისა და ლატიფე უშაკლიგილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ანალიზი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ხსენებულ პრობლემას და არ მოგვეპოვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე სტატიაში, ათათურქისა და ლატიფე უშაკლიგილის ურთიერთობების ანალიზს უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ, რაც საშუალებას მოგვცემს, ნათლად წარმოვადგინოთ როგორც საკითხის ისტორიული ასპექტი, ისე მისი დღევანდელი რეალობა. ჩვენ შევეცადეთ მკვეთრი ზღვარი გაგვევლო იმ პრობლემებზე, რომლებმაც აქტიურად იჩინა თავი მათ ურთიერთობაში. მკითხველის განსასჯელია, თუ რამდენად შევძელით ეს.

მეთოდი

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია ათათურქისა და ლატიფე უშაკლიგილის ურთიერთობების ანალიზი თანამედროვე ეტაპზე. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

შედეგები

ათათურქისა და ლატიფე უშაკლიგილის ურთიერთობების ანალიზმა და აღნიშნული საკითხების შესწავლამ, შესაძლებლობა მოგვცა, ნათლად გაგვეაზრებინა მათი საქმიანობის საკვანძო საკითხები და ისტორიული ასპექტები.

სტატიაში გამიჯნულია ათათურქისა და ლატიფე უშაკლიგილის ურთიერთობების ცალკეული საკითხები და ახლებურადაა წარმოდგენილი თანამედროვე მდგომარეობა.

დისკუსია

თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის, (1881-1938) ცხოვრების, მოღვაწეობისა და ოჯახის შესახებ ბევრი ინფორმაცია დღესაც გასაიდუმლოებულია.

XX საუკუნის დასაწყისში, რეფორმატორ მუსტაფა ქემალ ათათურქს სურდა, რომ რესპუბლიკურ თურქეთში, ტრადიციების მატარებელ ოჯახში, თურქი ქალი მისი ცოლის - იურისტ ლატიფე უშაკლიგილის, მსგავსი ყოფილიყო, რომელშიც ის თურქი ქალის სიმბოლოს ხედავდა - იდეალს, ნიმუშს, ემანსიპირებულს, განათლებულსა და მამაკაცის უფლებებთან გათანასწორებულს.

ლატიფეს ბრწყინვალე ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული და სრულყოფილად ფლობდა ქალისთვის საჭირო ყველა მანერას. გამოირჩეოდა სხარტი გონებითა და შორსმჭვრეტელობით. ერთი სიტყვით, იგი ნამდვილ ევროპელ ქალს წარმოადგენდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ გადაწყვიტა მუსტაფა ქემალმა ლატიფეს ცოლად მოყვანა. მართლაცდა, მისი ხასიათის და ქცევის სხვა გამოვლინებებს მიმზიდველს ვერ ვუწოდებთ, რადგან ლატიფე იყო თავშეუკავებელი, შარიანი და ისტერიკული ქალბატონი.

მუსტაფა ქემალმა და ლატიფემ მხოლოდ ორი წელი იცხოვრეს ერთად, თუმცა ეს დროც საკმარისი გახდა იმის გასაცნობიერებლად, რომ გენერალი მომავალში

აღარ დაქორწინებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ მუსტაფა ქემალს და ლატიფეს არც ჰყვარებიათ ერთმანეთი. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ დაშორების შემდეგ იგი ახლო მეგობრებს ხშირად უამბობდა ყოფილი ცოლის შესახებ, თუ როგორ აბე ზრებდა თავს შენიშვნებითა და რჩევებით.

მუსტაფა ქემალის ცოლი - ლატიფე ჰანიმი (თურქ. Latife Hanim), ლატიფე უშაქი (თურქ. Latîfe Uşakî), გვარების რეფორმის შემდეგ ლატიფე უშაკლი-გილი (თურქ. Latife Uşaklıgil) (İpek, Çalışlar, 2018:19), დაიბადა 1898 წლის 17 ივნისს, იზმირში, მდიდარი ვაჭრის, მუამარ-ბეის ოჯახში. მშობლებს სურდათ, ქალიშვილს ცოდნა ევროპაში მიეღო და მისი განათლებისთვის არაფერს ზოგავდნენ. ლატიფე უშაკლიგილმა. 1919 წლიდან, იურიდიული განათლება მიიღო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებში. ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ და ფრანგულ ენებს, ლაპარაკობდა ბერძნულად და გერმანულად.

1922 წლის 11 სექტემბერს, ლატიფე ევროპიდან (ნიცადან) სამშობლოში დაბრუნდა. მუსტაფა ქემალის სახელი უკვე ყველა თურქმა იცოდა. ის იყო სახალხო გმირი, ეროვნული ინტერესების დამცველი, მაღალი, ტანადი, სახის სწორი ნაკვთებით და შეუდარებელი სამხედრო გამართულობით, ბევრი ქალი მას ფარულად ეტრფოდა და მის სახიან მედალიონს ატარებდა. ლატიფეც მოიხიბლა მუსტაფას პიროვნებით.

1923 წლის 29 იანვარს მუსტაფა ქემალმა და ლატიფე უშაკლიგილმა იქორწინეს. მათი ქორწილი საერო ხასიათის იყო, ამიტომ ლატიფეს მუსლიმური თავსაბურავი არ ეხურა და თანამედროვედ გამოიყურებოდა. იმდროინდელ თურქეთში მუსლ-იმური ტრადიციები იყო გაბატონებული. საქმრო და საპატარძლო ერთმანეთთან არ უნდა მდგარიყვნენ, მაგრამ ისინი ერთად იყვნენ, ერთად ისხდნენ მდიდრულად გაშლილ სუფრასთან, სადაც ერთმანეთს ერთგულებას ეფიცებოდნენ.

ასეთი ქცევა საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება იყო. ამით ლატიფემ მხარი დაუჭირა ქმრის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და კონცეფციას ღრმად მუსლიმური ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე თანამედროვე თურქული საერო სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

ლატიფე უშაკლიგილ მეტად აქტიური პოლიტიკური პიროვნება იყო, რომელიც ქალთა უფლებებისათვის იბრძოდა და ცდილობდა ქვეყანაში ევროპაში ნანახი სტანდარტები დაემკვიდრებინა. მან დიდი გავლენა იქონია 1920-იანი წლების რეფორმებზე, რომლებიც ქალთა ემანსიპაციისაკენ იყო მიმართული. თავისი ქმრის დარწმუნების შემდეგ, მან ახალი რეფორმა გაატარა, რომლის მიხედვითაც ქალებს შეეძლოთ მოეშორებინათ თავსაბურავები, რასაც საზოგადოებაში არაერთგვ-აროვანი რეაქცია მოჰყვა (İhsan Sabri Balkaya, 2014:12).

იმავე წლის 29 ოქტომბერს მეჯლისის გადაწყვეტილებით თურქეთი რესპუბ-ლიკად გამოცხადდა და მუსტაფა ქემალი ქვეყნის პირველ პრეზიდენტად იქნა არჩეული (მაკარაძე, 2019:33). თავის მხრივ, ლატიფეც, ახალი თურქეთის პირველი ლედი და ქვეყნის ემანსიპირებული ქალის ერთგვარი სიმბოლო გახდა.

ლატიფემ იზმირიდან აქლემების ქარავანით დატვირთული სიმდიდრე (სევრის ფაიფურის სერვიზები, ბოჰემიური (ჩეხური) ბროლის ბოკლები, ვერცხლის დანა-ჩანგლები, ხელით მოქარგულ-მოქსოვილი უძვირფასესი მაგიდის გადასაფარე-ბლები, ხალიჩები, ფარდაგები, ავეჯი და სხვა) ანკარაში, პრეზიდენტის ახალ

რეზიდენციაში, ჩანკაიაში ჩამოიტანა, რომელიც სულ მალე პატარძლის ნება-სურვილით მოეწყო. პირადად ლატიფე-ხანუმმა გააფორმა მეუღლის სამუშაო კაბინეტი, თავისთვის კი მეორე სართულზე აირჩია უფრო ფართო ოთახი, პრეზიდენტის კაბინეტის ზემოთ. მისმა მზითვმა იმ დროისთვის მილიონ ფუნტს გადააჭარბა, რაც დღევანდელი კურსით მილიონზე მეტ ევროს უდრის.

თუმცა გათხოვებამ არანაირად არ იმოქმედა მისი ცხოვრების წესზე. ლატიფე-ხანუმი ძველებურად მხიარულად ატარებდა დროს თანამშრომლებთან და მეგობრებთან, ძველებურად აზარტულად თამაშობდა ბანქოს, უყვარდა ქალების წრეში თავის გამოჩენა. უკვეთავდა ტანისამოსს იმდროინდელი ევროპული ბრენდების შესაბამისად - ლონდონსა და პარიზში. ზოგჯერ ლატიფე თმას შავი ფერის შარფით იკრავდა, რომ მის ყურებზე ბრილიანტის საყურეები უკეთ გამოჩენილიყო. ხელის თითებზე კი მამის ნაჩუქარი ბრილიანტის ბეჭდები ეკეთა. ყოველივე ამით, მისი მუსლიმი მოსამსახურეები გაოცებული და შოკირებულნი იყვნენ.

თურქეთის სხვადასხვა რეგიონში ყოფნის დროს მუსტაფა ქემალს ცოლი ხშირად თან დაჰყვებოდა. ჯირითობდა ცხენზე, რაც მიუღებელი და გასაკვირი იყო თურქი ქალებისთვის და ქვეყნის კონსერვატორული წრეებისთვის. იგი მუსტაფა ქემალთან შეუთანხმებლად გამოდიოდა კრებებსა და ღონისძიებებზე. ხშირად ქმარსაც არ ეთანხმებოდა სხვადასხვა საკითხებზე, მას გააჩნდა განსხვავებული აზრი და არ ეშინოდა მისი არც დაფიქსირებისა და არ ერიდებოდა კამათსაც.

საწყის ეტაპზე მუსტაფა ქემალს ცოლის ასეთი ქცევები მოსწონდა... „აი, ჩვენ ამიერიდან ასე მოვეპყრობით ჩვენს ქალებს", - ამბობდა მუსტაფა ქემალი საჯარო შეხვედრების დროს და თავის გვერდით მდგომ ცოლზე მიანიშნებდა, რომელიც ან შარვალში იყო გამოწყობილი, ანდა კაბა ეცვა, მკერდზე ღრმა დეკოლტეთი (İhsan Sabri Balkaya, 2014:13).

თავის მხრივ, რასაკვირველია, ლატიფეც გრძნობდა, რომ მეუღლე უყვარდა, მაგრამ იგი ვერ ურიგდებოდა ქმრის ცხოვრების წესს, თუმცა აცნობიერებდა, რომ მათ შორის იყო დიდი ასაკობრივი სხვაობა და, აქედან გამომდინარე, შუახნის მამაკაცის ქცევის შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო. მუსტაფა ქემალს ქორწინებამდეც ჰქონდა ქალებთან ვალდებულების გარეშე ურთიერთობები, ამას ლატიფე კარგად აცნობიერებდა, ბრაზობდა და ქმარზე ზეწოლას ახდენდა, პრეტენზიებს უყენებდა და ითხოვდა, რომ მუსტაფას „გვერდზე სიარული“ და ღრეობები შეეწყვიტა. პარალელურად, იგი ცდილობდა საკუთარი შეხედულებით მოეწყო ანკარაში პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია, გაეცა განკარგულებები მუსტაფა ქემალის თანაშემწეებისა და მისი უშიშროების სამსახურის თანამშრომლებისთვის, მათ კი აღიზიანებდა ისიც, რომ ლატიფე ქვეყნის პრეზიდენტს, თურქეთის ეროვნულ გმირს, მხოლოდ სახელით მოიხსენიებდა.

მოკლედ, ქვეყანაში ლატიფეს ირგვლივ უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან მატულობდა. პრეზიდენტის გარემოცვიდან ბევრი ფიქრობდა, რომ ლატიფე თავისი სტატუსის მიღმა მოქმედებდა და სახელმწიფო საიდუმლო საქმეებში ერეოდა. როგორც ჩანს, ქმარმაც შეატყო, რომ ცოლი ზედმეტად იღებდა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას.

მუსტაფა ქემალისა და ლატიფე უშაკლიგილის ცოლქმრულ ურთიერთობაზე კიდევ ერთმა მოვლენამ მოახდინა გავლენა. ლატიფემ არ იცოდა, რომ მუსტაფა

ქემალს რამდენიმე წლის განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერთ ქალთან, სახელად ფიქრიესთან, რომელიც მუსტაფა ქემალმა ჯერ კიდევ სალონიკში გაიცნო, როცა ფიქრიე სულ ათიოდე წლის გოგონა იყო, ლამაზი, ნუშისთვალება, დიდებული თმებით. მოგვიანებით, როცა ფიქრიეს ოჯახი საცხოვრებლად სტამბოლში გადავიდა და იქ შემთხვევით მუსტაფა ქემალს შეხვდა, მომავალმა პრეზიდენტმა გულწრფელად შეიყვარა ის. მუსტაფას დედას - ზუბეიდა ხანუმს, მათი ურთიერთობა არ მოსწონდა. ქალ-ვაჟი ერთმანეთს იშვიათად ხედავდა, რადგან ოსმალეთის გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებული, პოდპოლკოვნიკი მუსტაფა ქემალი ჯერ ბულგარეთში ოსმალეთის საელჩოს სამხედრო ატაშედ დაინიშნა, შემდეგ კი, იმდროინდელი ოსმალეთის თითქმის ყველა ომში მონაწილეობდა - ბალკანეთში, აფრიკაში, პირველ მსოფლიო ომში და სხვა... მოგვიანებით, როცა მუსტაფა ქემალი ანატოლიაში დაბრუნდა და ანკარაში სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ფიქრიე თავის შეყვარებულთან ჩავიდა და ისინი კარგა ხანს ერთად ცხოვრობდნენ, დაქორწინდნენ კიდეც მუსლიმური ტრადიციით. სამწუხაროდ, ფიქრიე ფილტვებით (ტუბერკ-ულოზით) დაავადდა და მუსტაფამ იგი სამკურნალოდ ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში, ბავარიის მთებში, მიუნჰენთან ახლოს მდებარე სანატორიუმში გაგზავნა.

როგორღაც ფიქრიემ გაიგო, რომ მუსტაფა და ლატიფე დაქორწინდნენ. მან მიატოვა მიუნჰენი და თურქეთში დაბრუნდა. მუსტაფას, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი აცნობეს. მან თავის პირველ სიყვარულს წერილი (ტელეგრამა) გაუგზავნა და საყვედური უთხრა მკურნალობის სრული კურსის ჩატარების გარეშე გერმანიიდან დაბრუნების გამო. ასევე სთხოვა, რომ ანკარაში არ გამოჩენილიყო, მაგრამ ფიქრიემ თავისი გაიტანა. იგი ანკარაში ჩავიდა, მაგრამ დაცვამ პრეზიდენტის სასახლეში არ შეუშვა. სხვადასხვა გადმოცემით, მან ეტლში თავის მოკვლაც კი სცადა. ფიქრიე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, 1924 წლის 31 მაისს გარდაიცვალა. სხვათა შორის, მისი სიკვდილის მიზეზების გამოძიება 90 წელი გრძელდებოდა და მხოლოდ 2014 წელს შეწყდა, თუმცა სიკვდილის ზუსტი გარემოებები - მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა - მაინც ვერ დაადგინეს. ფიქრიეს დასაფლავების ადგილი დღემდე უცნობია.

მუსტაფა ქემალმა მძიმედ გადაიტანა მომხდარი დრამა. მას ფიქრიე გულ-წრფელად უყვარდა და გარდაცვალების დღეებში მას ცოლიც კი უწოდა. ამ ტრაგიკულმა ფაქტმა მის ურთიერთობას ლატიფესთან წერტილი დაუსვა. ლატიფემ ანკარაში თავისი მშობლები მიიწვია და ქმარს დედ-მამის წინაშე განუცხადა განქორწინების შესახებ: „მე განქორწინება მინდა... რატომ აღარ მიზიარებ შენს აზრებს? უკვე აღმოსავლელი მამაკაცივით მექცევი, საკუთარი საქმეებით ხარ დაკავებული, მე კი სასახლეში ჩამკეტე, თითქოს ჰარამხანაში ვარ“ (კვირის პალიტრა, 2021:1).

მუსტაფა ქემალი და ლატიფე 1925 წლის 5 აგვისტოს განქორწინდნენ. მათ შვილები არ ჰყოლიათ, მაგრამ შვიდი გოგონა და ერთი ვაჟი იშვილეს, აგრეთვე ორი ობოლი ვაჟის მიმართაც იჩენდნენ მზრუნველობას, რომელთა აღზრდას მუსტაფა ქემალი საკმაო ყურადღებას უთმობდა. აფეთ ინანი, პირველი თურქი - ისტორიკოსი ქალი გახდა, ხოლო საბიჰა გიოქჩენი კი თურქეთში პირველი სამხედრო მფრინავი ქალი გახდა.

მუსტაფა ქემალი 1938 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა ღვიძლის ციროზით, რომელიც, როგორც დადგინდა, ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო გამოწვეული.

ლატიფე ქმართან დაშორების შემდეგ აღარ გათხოვილა და თავისი სიცოცხლე იზმირსა და სტამბოლში განმარტოებულად გაატარა. იგი 1975 წელს სტამბოლში გარდაიცვალა, რომელმაც სიკვდილის ბოლომდე საიდუმლოდ შეინახა ყოფილ ქმართან გატარებული ურთიერთობის საოჯახო ისტორია (Yandex Zen, 2021:1).

ცნობილია, რომ ლატიფე უშაკლიგილი საიდუმლო დღიურებს წერდა. როგორც ამბობენ, მისი სიკვდილის შემდეგ, 178-გვერდიანი დღიური თურქეთის ერთ-ერთ ბანკში ინახება და მისი ნახვის უფლება არავის აქვს. იქვე დევს ყოფილი ცოლ-ქმრის 200-მდე წერილიც, რომელსაც ერთმანეთს განქორწინების შემდეგ წერდნენ.

ლატიფეს სიკვდილის შემდეგ თურქეთში ბევრ ჟურნალისტსა და მწერალს სურდა მიეღო მისი დღიურების გამოქვეყნების უფლება, მაგრამ უშედეგოდ. თურქეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2005 წლამდე მათი გამოქვეყნება აიკრძალა. თუმცა, 2005 წლის შემდეგაც, ყოფილი პირველი ლედის ახლობლებმა, ისევ სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი თქვეს დღიურებისა და წერილების პუბლიკაციაზე.

2005 წელს, თურქეთის ისტორიულმა საზოგადოებამ მისი დღიურები გამოაქვეყნა, „გარდა ყველაზე პირადი დეტალებისა, მისი ოჯახის პირადი შეხედულებების მიხედვით.“ პარალელურად, მისმა ოჯახმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ წერილების საკუთრების უფლება და არ სურდათ დღიურებში არსებული ინფორმაციის გასაჯაროვება, თუმცაღა მისი პუბლიკაციების სახით გავრცელება მაინც გრძელდებოდა.

მართალია, ლატიფე სულთნის პირადი დღიურები და ცხოვრებისეული ჩანაწერები არ გახდა ხელმისაწვდომი, მაგრამ 2006 წელს დაიბეჭდა ლატიფე უშაკლიგილის შესახებ ვრცელი ბიოგრაფიული რომანი სახელწოდებით „ლატიფე ხანუმი, ათა-თურქის ცოლი", გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ (ქემალისტური პარტიის ორგანოს) ჟურნალისტი ქალის - იპეკ ჩალიშპარის ავტორობით, რომელმაც თურქეთში ფართო პოლემიკა გამოიწვია. წიგნი ევროპულ ენებზეც ითარგმნა. 2018 წელს იპეკ ჩალიშლერმა კიდევ ერთი წიგნი გამოსცა - „მუსტაფა ქემალ ათა-თურქი: მისი ბრძოლა და პირადი ცხოვრება“, რომელშიც ლატიფე უშაკლიგილის შესახებ ზოგიერთი ახალი დეტალია შეტანილი.

დასკვნა

მიუხედავად მეცნიერთა და მკვლევართა დაინტერესებისა, თურქეთის რესპუბლიკა არ იძლევა უფლებას გახსნას საიდუმლო არქივი, რომელიც ინახავს მუსტაფა ქემალ ათათურქის მოღვაწეობის გარკვეულ საკითხებს. ჯერ კიდევ შეუსწავლელია და საიდუმლო გრიფი ადევს მისი პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებსა და ოჯახის საკითხებს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს „ხალხის მამის“ დამკვიდრებულ იმიჯს.

აღნიშნული საკითხის შესწავლა და ფართო საზოგადოებამდე მიტანა უფრო სრულყოფილს გახდის თურქი ერის დიდი შვილის, მუსტაფა ქემალ ათათურქის, ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Ататюрк Хотел, Чтобы Все Турецкие Женщины Были Такими, Как Его Жена Латифе, Однако Сам Смог Прожить с Ней в Браке Лишь Два Года. Yandex Zen. 6 January 2021. https://zen. yandex.ru/media/id/5cff7c90ad70 5300b048fc68/ atati urk-hotel-chtoby-vse-tureckie-jensciny-byli-takimi-kak-ego-jena-latife-odnako-sam-smog-projit-s-nei-v-brake-lish-dva-goda-5ff48edcfe4e686f6a2b7a25;

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ გადაწყვიტა მუსტაფამ ლატიფეს ცოლად მოყვანა - თურქეთის პირველი პრეზიდენტის ოჯახის საიდუმლო. „კვირის პალიტრა“, 29 იანვარი, 2021. https://kvirisp alitra. ge/article/73661-mkholod-amith-sheidzleba-aikhsnas-thu-ratom-gadatsyvita-must afam-latifes-colad-moyvana-thurqethis-pirveli-prezidentis-ojakhis-saidumlo/;

მაკარაძე, ემზარ. (2019). *თურქეთის ისტორია 1918-2018 (სალექციო ჩანაწერები).* თბილისი;

İhsan Sabri Balkaya. (2014). *Atatürk'ün Eşi Latife Hanim'dan Ali Fethi Okyar'in Eşi Galibe Hanim'a Mektuplar.* Ankara Üniversitesi Türk İnkılâp Tarihi Enstitüsü Atatürk Yolu Dergisi S. 55, Güz;

İpek, Çalışlar.(2018). *Mustafa Kemal Atatürk: Mücadelesi ve Kişisel Hayatı.* Ankara.

REFERENCES

Atatjurk Hotel, Chtoby Vse Tureckie Zhenshhiny Byli Takimi, Kak Ego Zhena Latife, Odnako Sam Smog Prozhit' s Nej v Brake Lish' Dva Goda. [Ataturk Wanted All Turkish Women To Be Like His Wife Latife, However, He Himself Could Live With Her In Marriage For Only Two Years]. Yandex Zen. 6 January 2021. https://zen. yandex.ru/media/id/5cff7c90ad705300b048fc68/atati urk-hotel-chtoby-vse-ture ckie-jensciny-byli-takimi-kak-ego-jena-latife-odnako-sam-smog-projit-s-nei-v-brake-li sh-dva-goda-5ff48edcfe4e686f6a2b7a25;

mkholod amit sheidzleba aikhsnas, tu rat'om gadats'qvit'a must'apam lat'ipes tsolad moqvana - turketis p'irveli p'rezident'is ojakhis saidumlo. [Only this can explain why Mustafa decided to marry Latifa - the secret of the family of the first president of Turkey]. „K'viris P'alit'ra“, 29 Ianvari, 2021. https://kvirisp alitra. ge/article/73661-mkholod-amith-sheidzleba-aikhsnas-thu-ratom-gadatsyvita-must afam-latifes-colad-moyvana-thurqethis-pirveli-prezidentis-ojakhis-saidumlo/;

mak'aradze, emzar. *(2019). turketis ist'oria 1918-2018 (saletsio chanats'erebi). [History of Turkey 1918-2018].* Tbilisi;

İhsan Sabri Balkaya. (2014). *Atatürk'ün Eşi Latife Hanim'dan Ali Fethi Okyar'in Eşi Galibe Hanim'a Mektuplar.* Ankara Üniversitesi Türk İnkılâp Tarihi Enstitüsü Atatürk Yolu Dergisi S. 55, Güz;

İpek, Çalışlar.(2018). *Mustafa Kemal Atatürk: Mücadelesi ve Kişisel Hayatı.* Ankara.